№ 215. 11 ოკტომბერი, შაბათი 1866—1880 11 ოკტომბერი, შაბათი, № 215.

რედაქცია

მ[illegible] შუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლე[illegible] [illegible] სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების" „ივერიის" რედაქციაში. გარეშე [illegible]თვის: Въ Тифлисъ, въ ре[дакцію] „Дроеба"-„Иверія"

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|---|
| „დროება"-„ივერია" ერთად | | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე | „დროება" | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე | „ივერია" | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა" 2 მან,

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოების სტრიქონით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

ამ 1880 წლის ოქტომბრის 15-დამ იწყება ქართული თეატრის აბონიმენტი.

წარმოდგენა კვირაში ორჯერ არის ოთხშაბათობით და კვირაობით.

მსურველთ შეუძლიანთ ორივე დღის აბონიმენტი აიღონ, ან ერთი და ერთი ამ დღეთაგანი ამოირჩიონ.

ფასი ჩვეულებრივი იქნება.

ფულის შემოტანა შეიძლება მთელის სეზონისა ამ თავით, აგრეთვე თვე და თვე ანუ ყოველ წარმოდგენისა ცალკე, ვისაც როგორც ეუმჯობესება.

ხელის მოწერა აბონიმენტზე შეიძლება არწრუნის თეატრის კასსაში. (3 1)

სიონის ქუჩაზედ, სასულიერო სასწავლებლის გვერდზედ საეკკლესიო სახლში გამოსვენებულ არს წმ. ნინოს მოციქულის ლუსკუმა და სხვანი საეკკლესიო განძნი—სამხილებლად, ორშაბათამდინ, დილის 10—3 საათამდინ. (3—2)

## ტელეგრამმები

(ხალხთ შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი. ოქტომბერს. გრაფ სალიასს ნება მისცეს ჟურნალის „მოლვიარნაია ზვეზდას" გამოსაცემად.

„რუსის სააგენტო" ამბობს, მორტასაგან ნათამაშმა თეატრალურ სცენამ დულცინიოს დათმობის შესახებ, ევროპის სახელმწიფოებში ხელ ახლავ დაუნდობლობა აღძრა ოსმალეთის სიწრფელეზე.

დღეს გაიხსნა პეტერბურღში მეთორმეტე საზოგადო კრება რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელებს.

მოსკოვი, 8 ოკტმ. ქალაქის გამგეობის ხმოსნებს ფიქრად მოუვიდათ, რომ პურით შემწეობა მისცენ დაშეულებს; ამ მიზნით განზრახვა აქვთ ასი ათასი მანეთი გადსდონ.

პარიჟი. სენის გენერალურ რჩევაში 31 ხმის უმრავლესობით 30-ის წინააღმდეგ უარ ჰყვეს მოთხოვნილება ადრიატიკის ზღვიდამ საფრანგეთის ესკადრის გამოწვევაზე.

რენნ, 8 ოქტ. დღეს აქედამ განაძევეს კარმების წესის პატრები კარებით ძალით გაადეს წესიერების დაცვისათვის ჯარები მოითხოვეს.

მარსელი. პოლიციას უბრძანეს, რომ კაპუცინის მონასტრის გარშემო შეკრებილი ხალხი გაერეკნა.

პეტერბურღი, პეტერბურღში ეხლა მარხილებით დადიან.

პეშტი ვენგრიელთ დელეგაციამ ლიუდვიგ ტისსო ამოირჩია პრეზიდენტად.

პარიჟი, 8 ოქტ. იახტა „ლივადია" დ. მ. კონსტანტინე ნიკოლოზის ძით დღეს ბრესტიდამ გამოვიდა.

პეტერბურღის ბირჟა, 8 ოქტომბერს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 94 | 87 |
| მეორესი — — — — — | 92 | 37 |
| მესამესი — — — — | 93 | 25 |
| მეოთხესი — — — — | 92 | 62 |
| აღმოსავლეთის პირვ.— — | 90 | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 90 | 62 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 90 | 50 |
| ოქრო, ½ იმპერიალი— — | 8 | 20 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 216 | „ |
| მეორე სესხის — — — | 211 | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 24 | „ | პენსი |
| ჰამბურღი — — | 204 | 50 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 254 | 50 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

## კაცის-მოკვლა ერთის ვაზისთვის

ტფილისი, 10 ოკტომბერს.

„ორ მოსამზღვრეს— ბჟალაევებსა და გულავებს ძველ-სენაკში ლაპარაკი მოუვიდათ ერთ ძირ ვაზიან ხის თაობაზედ. ერთიც იჩემებდა და მეორეც; არა—ჩემია, არა—ჩემიაო! ბოლოს საქმე იქამდინ მივიდა, რომ ნაჯახებს წამოუსვეს ხელი და ერთი საზარელი ჩხუბი და სისხლის-ღვრა შეიქნა. ერთი კაცი მოკვდა ამ ჩხუბში და სამიც დაიჭრა..."

ასე იწყება ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილი ერთი კორრესპონდენცია.

პირველი და უკანასკნელი მაგალითი არ არის ჩვენში ამ გვარ საადგილ-მამულო დავების გამო ადამიანის სისხლის დაღვრა, კაცის მოკვლა. უველას ახსოვს ის ჩხუბა, რომელიც

«დროების» ფელეტონი, 11 ოკტომ.

## წერილი აჭარიდამ

ენკენისთვის პირველ რიცხვებში რამდენთამე პირთა ახალციხიდამ მოინდომეს ზემო აჭარის ზოგიერთი სოფლებისკენ გასეირნება. მეც ამათთან გახლდით.

ნუ მოელით ჩემო ბატონო. აღგიწეროთ ან გავლილი გზა, ან გარდავლილი მთა-ტყე, ან სოფლები; ეს ჩემი საქმე არ გახლავსთ, აზრი. მიზანი ამ წერილისა გახლავსთ მხოლოდ, გადმოგცეთ ის მიზეზი, რომლის გამოც სტოვებენ თავის სამშობლოს ჩვენი მოძმენი აჭარლები.

მე გადმოგცემთ მას, რაც გავიგონე ორ ცრუ კაცებისაგან.

ჩვენ გახლდით სოფლებში: ღორჯოში, დიდ-აჭარაში, ხულაში და რიყეტში.

სამი დღის წინეთ ჩვენის გარდასვლისა, ზემო აჭარლებს ჰქონდათ ყრილობა. რომელზედაც დაეწყოთ, რო გაგზავნონ ხოჯები—დეპუტატები ბათომს ზენ. კომაროვთან და მათი პირით სთხოვონ, რომ აჭარლებს მიეცეს სიგელ ხელწერილი მასზედ, რომ

1) არ გამოიყვანებს მათგან სალდათი (საშინლათ ეშინიანთ სალდათობისა. დ.-აჭარიდან გამოგვყვა თან ალა ალი ნაკაშიძე—17-18 წლის მშვენიერი ყრმაწვილი; მილიციონერი. ერთმა ჩვენთაგანმა ჰკითხა იმას: „ალა ალი! თქვენა ბძანებთ სალდათობას ვექცევითო, მილიციაში კი მსახურებთ,—დიდი განსხვავება არა არის-რა ეხლა მილიციონერის და სალდათის სამსახურში".—აჰ! დედავ, მომკალ! ამ გვარ სამსახურში მეც და ყველანი ჩვენები ვიქნებით მთელ ჩვენ სიცოცხლეს,—მაგრამ სალდათობას კი ვერ ვიქთ! ვეირჩევნიან—სიკვდილი სალდათობას! საკვირველია, ქალებიც მათნი ამ აზრისანი არიან).

2) რომ მათ ქალიშვილებს, ცოლებს და დებს ძალას არ დაატანენ, რომ პირ-ბადი აიხსნან, და

3) რომ სათემოთ, უფასოთ სარგებლობა ჩვეულობისა მებრ, ტყეებისა მათ არ მოეპოვებათ ესე იგი ლესნიჩებს არ ჩაუყენებენ და სათემო ტყეებს სახელმწიფოთ არ აქცევენ.

მოუთმენლათ მოელიან გენ. კომაროვის პასუხს.

ამ თხოვნის აღსრულების სიტყვას მისცემს კამაროვი—დარჩებიან ზემო აჭარლები,—არ წავლენ, აიყრებიან.

ამ მიზეზების გარდა გახლავან კიდევ სხვა მიზეზნი, რომელთა გამო არ სურთ დარჩენა აჭარლებს; ამათგან დაგისახელესთ:

ა) ფანატიზმოს. აჭარლები ერთობ საშინელი ფანატიკები არიან, თუმცა თათრულ ენაზედ ძლიერ ქვეითნი გახლავან: წვრილ ფეხობამ და მომეტებულმა ქალიშვილებმა სრულიად არ იციან თათრული,—მშვენიერ ქართულს, გურულის კილოთი, ლაპარაკობენ. აჭარლების აზრით, დიდი ცოდვა და დინის (რჯულის) წინააღმდეგია, რომ რაკი ურჯულოებმა მათი ქვეყანა დაიჭირეს, მათი იქ დარჩენა!

ზ.-აჭარაში გამოჩინებულ პირთა რიცხვში ითვლება ლომან ეფენდი, დიდი ჭკვიანი, ნასწავლი კაცი, და დიდი გავლენისა ხალხში. აჭარლებმა რომ გაგზავნეს ოსმალეთში აღმორჩეულნი პირნი დასაზვერავათ მათთვის ადგილებისა, ეს ლომან ეფენდი აღმორჩეულთ პირთ რიცხვში გახლდათ. დაბრუნდა რა მოგზაურობიდგან აი რა სიტყვები წარმოსთქვა თურმე ყრილობაში:

„ბევრი ადგილი დავიარე, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთანა (აჭარისთანა) შემკობილი და საჩვენო ვერსად ვერა ვნახე-რა. ამას გარდა ნამდვილი მაჰმადიანობა ჩვენში დარჩენილა, რჯული ჩვენისთანათ სუფთათ და წმიდათ არავის უჭირავს სახონთქრეში,—სადაც თითქმის ყველგან ქართველობა (ქრისტიანო) შეპარულა. ამის გამო არ გირჩევთ გადასახლებას."

ამ გვარივე რჩევას, როგორც გავიგე, სწერენ აქაური ხოჯები, სტამბოლში მცხოვრებნი. მათ მიწერ-მოწერა აქვსთ დღესაც ზოგიერთ აჭარლებთან გამოჩენილ პირებთან.

ბ) თოფ-იარაღის აყრა მეტად ეძნელებათ. აი რა გავიგონე:

„ჯერ ისე მოაწყეთ საქმე, რომ ჩვენ უშიშრათ ფირალებისგან შეგვეძლოს ცხოვრება, მოგვაშორეთ იგინი, ნუ უშვებთ თავდებობით ჩვენ, გნით ხელში მოცემულ ფირალებს და მერმე, დიახ ბატონი ბრძანდებით მიირთვით ეს ჩვენი სილაღი (თოფი.) ამ დროში გონჯი, ფირალი და კარგი კაცი ვერ გარჩეულან: ერთათ დადიან".

როგორც ხედავთ—ერთ გვარი სენით გახლავართ ჩვენ და აჭარლები სნეულნი...

გ) მმართველებად დღემდისინ ისეთი გვარნი გახლდნენ დანიშნულნი, რომლებმაც ვერ შეიძლეს ხალხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდა ზემო-იმერეთის ერთს სოფელში, აა ორი წლის წინათ, ადგილობრივ აზნაურებსა და გლეხებს შუა ერთის საყანე მიწაზედ; ყველას ახსოვს ზუგდიდის სოფლებში მოხდენილი არეულობა ამ გვარ საადგილ-მამულო საქმეზედვე; ყველას ახსოვს მაჩაბლის ამბავი ქართლში და აგრეთვე ის ამბავი, რომელიც ამ ორის თვის წინათ მოუხდათ თ.თ. ბ. და ე. მუხრანსკებს ერთ ნაბიჯს სათევზე ადგილის გამო-

და რამდენი სხვა ამ გვარი ჩხა და კაცის-კვლა მომხდარა ჩვენში, რომელიც საქვეყნოდ არ გამოაშკარებულა, გაზეთებში არ გამოცხადებულა და რომელიც მხოლოდ სხვა-და-სხვა სასამართლოების არხივებს ამძიმებს?!.

სულ უბრალო რასმეზე, ერთ ნაბიჯ ადგილზე, ერთ საფაცრე წყალზე, ერთ ძირ ხეზე იწყება ხოლმე ხშირად დავები, უკმაყოფილება, ჩხუბი და თავდება კაცის დაჩეხით ან მოკვლით. მეზობელი მეზობელს არ ზოგავს, მოყვარე მოყვარეს, ძმა ძმას, მამა შვილს, თუ ადგილ-მამულზე ჩამოვარდა დავა.

ერთი რამ საშუალება უნდა მოიძებნოს ამ საძაგელ მოვლენის წინაამდეგ. ერთი რამ ღონისძიება უნდა მოიპოვოს, ერთ ძირ ხის გულისათვის, ერთ მტკაველ ადგილისათვის კაცი კაცს არა ჰკლავდეს, ძმა ძმის სისხლს არა ღვრიდეს.

ამ ღონისძიებასა და საშუალებებში პირველი ადგილი, უეჭველია, იმ გარემოებას უჭირავს, რომ საადგილ-მამულო კანონები გადაიხედოს, გადაიხედოს და ჯეროვანი ცვლილება მოხდეს იმ კანონებში, რომელნიც ადგილ-მამულის კუთვნილობის და მფლობელობას შეეხება. დიდი არეულობა, ბევრი გაურკვევლობაა ამ კანონებში. ჩვენ ხალხს ჰგონია, რომ ვინც პირველად დაეპატრონება ადგილს, მოგება და გამარჯვება იმას დარჩებაო.

ამას გარდა ადგილ-მამულების გამო გაუწყნარებელ დავებსა და აყალმაყალს თუ არ მოსპობს, ერთი-ათად შეამცირებს მაინც მამულების გამიჯვნა. როდესაც ყველას ეცოდინება თავისა და სხვის ადგილ-მამულისა, ტყისა და წყლის სამზღვარი, როდესაც ყველას ექმნება ხელში უდავო საბუთი, პლანი და დამტკიცება თავის უძრავ ქონებაზედ, მაშინ, უეჭველია, ამ გვარი დავები შემცირდება და თუ ატყდება, ადვილად გადაწყდება სასამართლოებში.

ამის გამო, ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნება ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურთა კრებებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას, სთხოვონ უმაღლესს მთავრობას გამმიჯნავ ჩინოვნიკების რიცხვის მომატება და ამ ნაირად გამიჯვნის დაჩქარებას.

ფულიც რომ გამოიღოს ჩვენმა თავად-აზნაურობამ ამ საქმისათვის, წაგებაში არ იქნება. მეორეს მხრით თვითონ მმართებლობას, ხაზინასაც დიდ სარგებლობას მოუტანს ამ დაუბოლოებელ და უანგარიშო საადგილ-მამულო დავების გათავება: ყველა სასამართლოები, კანცელარიები, დეპარტამენტები გატენილია ახლა ამ საადგილ-მამულო დავებით; ვინ იცის—რამდენი მოსამართლე, გამომძიებელი და ჩინოვნიკი უნდა ამ საქმეების გამოკვლევას, გამოძიებას და განხილვას. როდესაც ადგილ-მამულის საქმე ჩვენში უფრო გარკვეული, უფრო რიგიან გზაზე იქნება დაყენებული; ამ გვარი დავები მაშინ, როგორც ზევით მოგახსენეთ, ერთი-ათად შემცირდება და ამის გამო თვით შეუმცირდება ხარჯი ჩინოვნიკებზე და კანცელარიებზე.

ამ ნაირად, ეს გაუწყნარებელი ჩხუბები, დაჭრა, კაცის-კვლა და მღელვარება რომ არც კი მივიღოთ მხედველობაში, ჩვენი ხალხისა და მთავრობის მატერიალური ინტერესი მოითხოვს, რომ მამულების გამიჯვნის საქმე დროზე, აჩქარებით გაათავონ ჩვენს ქვეყანაში.

## ახალი ამბები

ჩვეულებისამებრ, ჩვენს ქალაქში წელსაც იქნება ცხენების დოღი ანუ მარულა. დოღი დანიშნულია 25 და 26 ღვინობისთვეს იმავე ადგილას, მუშტაიდის ბაღს იქით, სადაც წინა წლებში იყო. ვისაც სურს ამ დოღში მონაწილეობა მიიღოს, ამ თვის 19, 20 და 21-ს უნდა უნდა ჩაეწეროს.

* * *

„კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ 6 ღვინობისთვის სხდომაზე ერთი ფრანცუზის ლეგერისიეს წერილი, რომელიც იწერება, რომ რვა წელიწადია, რაც ნუხის მაზრაში აბრეშუმი მომყავსო, ვცდილობო, რომ აქაურ ხალხში ფრანცუზული აბრეშუმის ჭია გავავრცელო, რადგანაც ეს ჭია არ ფუჭდება და აქაურ იაპონიის თესლს კი მუდამ წელიწადს ავათმყოფობა ახდენსო, მაგრამ ვერა მომიხერხებია-რა, ხალხმა არ მიიღო ფრანცუზული ჭიის თესლი, ვერ დაისწავლა იმის მოვლაო. ამის გამო ხსენებული ფრანცუზი სთხოვს სამეურნეო საზოგადოებას, სტანცია გახსნას ამ საგნისათვის ნუხში და ეცადოს აბრეშუმის სალი კვერცხის ხალხში გავრცელებას.

სამეურნეო საზოგადოებამ ყურადღების ღირსად დაინახა ეს წინადადება და გარდაწყვიტა ამ საგნის განსახილველად და გამოსაკვლეველად ცალკე კომისიის დანიშვნა მცოდნე პირებისაგან.

* * *

გაზ. „კავკაზ“-ში იწერებიან ფოთიდამ, რომ ღვინობისთვის 5-ს ამ

---

მიზიდვა; თავიანთი ხასიათებით და ქცევით ხალხს თავი შეაძულეს და არ შეაყვარეს.

— ერთი ეს გამაგებინე, მკითხა ერთმა დარბაისელმა ზემო-აჭარელმა, ეს რა ჩვენი ღვთის წყრომაა, რომ ერთი რიგიანი ნაჩალნიკი არ მოგვეცა ჩვენ, ზემო-აჭარლებს?! რითი განვარისხეთ ღმერთი? რა ცოდვა მიგვიძღვის წინ?

— მეტად ფირალობდით, მინამ თათრების ხელში იყავით, მიუგე მე, ხუმრობით, და მისგამო ეხლა ისჯებით!...

— იქმნების! ხუმრობა იქით იყოს, განაგრძო მან, და ერთი საჩვენო არ მოგვსვლია ჩვენ ჯერ. ღვთის მადლით ეხლა კი დიდი ნაჩალნიკი (ოკრუჟნოი) სამსონ ლორთქიფანიძე მგონი კარგი გვეღირსა. ფირალებს სდევნის, ჩვენ გვიფთხილდება, ჭკვას გვასწავლის, გვარიგებს, მისმა დარიგებამ ბევრი უკუ დააყენა გადასახლებაზედ*), თითონ თავის ფეხით დაბრძანდება სოფელ-სოფელ. მაგრამ ეს მარტო ვერას გახდება, თუ თანაშემწენიც მისგვარნი არ შეხვდებიან. ეგი ქედაში ზის, და ხულაში მისი ხელქვევითი, ჯერ კი ხულაში საჩვენო არავინ მოსულა. აი ეს ორი სამი დღეა—ახალი, მესამე რიცხვით, დაგვინიშნეს. ესეც ახალციხელი! არ გვინდანან ეს ახალციხელები,—რას ჩაგვაცვივდით?! ნუ თუ ახალციხელების მეტი არავინ გვშოვებათ?! ერთი გამოგზავნეთ და ის სულ შინ იჯდა შიშით გარეთ ვერ გამოდიოდა და თუ გამოდიოდა, სულ დინს გვაგინებდა და გვცემდა; გამოიცვალა იგი და მის ნაცვლად გამოგზავნეთ მისთანა, რომ პირველის თავი გვანატრულა. ბაქიობის მეტი არა იყო-რა: „ფირალებს სულ ტყავებს დავაძრობ და ჩემის ხელით თავებს დავჭრიო! ბუზიც ვერ ეეფრინა ვერც ერთს ან როგორ აafრენდა, რომ.... ეჰ რომელი ერთი გითხრა.

ამ გვამზედ ერთი არაკი გავიგე—არ ვიცი მართალია თუ მოგონილია, თუ მოგონილია, კარგათ არის მოგონილი: თურმე მეჯლისი (სასამართლო) რომ შეიყრებოდა, შეუვარდებოდა ხოლმე ცოლი და ეტყოდა: „მე მინდა რომ ესა და ეს გამართლებული იყოს, ესა და ეს გამტყუნებული.“ ქმარი უნდა დამორჩილებოდა ცოლს: ხომ მოგეხსენებათ რაკი დიაცი გაიწევს.... ამ უფალისვე მიზეზით რის ყოფით რის ტანჯვით და ღვაწლით ბატ. ლუკა ქუთათელაძისაგან შეყრილი ბალანები — აჭარლები — სასწავლებლათ—განიფანტნენ; და მის გამო სკოლის საქმე უკვე დადგა.

პ. ა. რო მოვიდა და დაჯდა ხულაში, ეშმაკათ ლუკა ქუთათელაძეს მოუვიდა აზრში—ეთხოვნა ახალი ნაჩალნიკისთვის, რომ მას ორიოდე სიტყვა ეთქვა ჯამაათისთვის სკოლის სარგებლობაზედ. პ. ა. პირი მოუშვა თურმე და რაც იცოდა და არ იცოდა, რაც კი პირზედ მოადგა, სულ წამოუხანტალა! ისე მშვენივრად, ცოცხლათ აღუხსნა სარგებლობა სკოლის დაწესებისა, რო მეორე დღეს ლ. ქუთათელაძეს ერთი მოწაფე აღარ ჰყავანდა. შინაარსი ამ გონიერ ადმინისტრატორის სიტყვისა ასე გარდმომცეს,—მე იქ არ დავესწარ:

„მე ხო მხედავთ დღეს—რა ვარ? მე ვარ თქვენი ნაჩალნიკი! ქიმაროვის დიდი მეგობარი და მისი პირველი კაცი: სულ ხელი-ხელს გაყრილი დავყვევარ ხოლმე. ჰო! მამა-ჩემი თქვენსავით თათარი იყო, მაგრამ რა კი რუსული ისწავლა, ძოინათლა და თითონ დაუწყო თათრებს ნათვლა და მე, თვისი შვილი, რუსულ სკოლაში მიმცა და მასწავლა. აი სარგებლობა სკოლისა, რუსების სწავლისა! ჩვენ სკოლებს ეს შეუძლიათ.“

აჭარლებმა, გამგონებმა ამ სიტყვებისა, გაიფიქრეს, რო სკოლას მიტომ მართავენ, რო დააქართველონ ჩვენი შვილებიო, მოხვიეს ხელი და გაიყვანეს შვილები ლუკა-ალისაგან. ასე ჩაფუჭდა ლუკა-ალის შრომა!.

— ალლახმა შეისმინა ჩვენი ლოცვა, მოგვაშორეს იგი და ეხლა კიდევ ახალციხელი მოგვცეს—ს. ბ. არ ვიცნობთ ჯერ, ვერც ავს ვიტყვით, ვერც კარგს. ვნახოთ ესეც...

არა ნაკლებ აღველებთ და სწყენთ მათ ჩვენი მმართველების ქცევა: მათის სიტყვით, ჩვენ მმართველებს ვითომც დიდ ცოდვათ მიაჩნიათ, რო გამოჩენილს მათში გვარს სალამზედ სალამი მისცენ, წამოუდგნენ საჯდომიდან, როცა იგი მათ იახლება სადგომში, ან ორი საათი დერეფანში არ აცდევინოს.

ზემო-აჭარაში დიდი გავლენა აქვს ჯერ კიდევ გვარიშვილობას: დიდი გვარისშვილის კაცს ჰბაძავს დაბალი ხალხი, მას უყურებს. მმართველმა რო ეს გამოჩენილნი პირნი მიიმხროს, მიიზიდოს, საქმეს ძლიერ ადვილათ წინ წაიყვანს. ხალხი უგონებს მათ.

ზემო-აჭარაში გამოჩენილნი არიან: ოსმან-აღა მიქელაძე, ისმაილ აღა მიქიძე (ღორჯომში სცხოვრებენ), ქადირ-აღა და შერვაშიძე (დიდ-აჭარელი), ქარა-ქალი სულეიმან მოლლა ბერიძე (ხულელი), ლომან-ეფენდი, რეშიდ-ეფენდი ნაკაშიძე (სივეთელი), იუსუფ-ეფენდი ბერიძე და სხვა რამდენიმე პირნი. საჭიროა ამათი მიზიდვა.

საშინლათ გააკვირვა და ამა ჩვენთან ერთად მოგზაურის ქალების გადასვლამ იქაური ქალები.

— რა კი გვიკადრეთ და გადმობრძანდით, აწი ჩვენც გავბედავთ გადმოსვლას თქვენკენ. ეხლა დავრწმუნდით, რო გვკადრულობთ.

ძველ ქართველ დედათა სიმშვენიერე პირის-სახისა, გონიერობა, მიხრა-მოხრა, გონივრული ბაასი, მამულის ერთგულობა,—ყველა ეს ჩინებული თვისება ჩვენგან განფრენილი აჭარელ ქალებში დაბუდებულა. მათმა სილამაზემ, გონიერულმა სჯამ, მეტადრე ეხლანდელ პოლიტიკაზედ, გააკვირვა ჩვენი მოგზაურები. დამბადებელო! რანი ყოფილან?! ნეტავი ერთი ორიოდე მათ მგზავსნი ჩვენშიც იპოვებოდნენ!

„არც ერთ ევროპიულ სალონში, არც ერთ ევროპეულ განათლებულ ქალისგან არ გამიგონია ისეთი გო-

*) ჭეშმარიტია.

ქალაქში უკურთხებიათ და გაუხსნიათ საქალებო სასწავლებელი, რომელსაც დიდი ხანია მოელოდნენო, რადგან აქაური ქალები ყოველ სწავლის ღონისძიებას მოკლებულნი იყვნენო. საშუალება ამ სკოლის შესანახავად ზოგი თვითონ ქალაქს აღმოუჩენია და ზოგიც ხელის მოწერით მოუგროვებიათ; ხელის მოწერით ამ ჟამად 1,200 მანეთამდინ არის მოგროვილიო.

* * *

პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ ჩვენს ახალ-გაზდა თანამემამულეს თ. სუმბათოვს (დრამის „მეხის-ამცდენის“ ავტორს) მეორე რუსული პიესა დაუწერია, სახელად „საუკუნის ქალი“, რომელსაც ძალიან აქებენ. მოსკოვის აქტიორს პრავდინს უთხოვნია ავტორისათვის, რომ ეგ იმას თავის ბენეფისისათვის მისცეს.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**სოფ. საგარეჯო**, 26 აგვისტოს. „ბარიეული კატა შინაურს კარში აგდებდაო.“ ეს სახალხო გონივრული ანდაზა სწორეთ ჩვენთავზედ სრულდება. ამ აგვისტოს 26-ს ტფილისიდგან მომიხდა მოგზაურობა საგარეჯომდინ ფოჩტის გზით. დილის ხუთი საათი იყო, რო კუჩერი მიმარბევინებდა მშვენიერ დაცემულ ორხევის მინდვრისკენ, რაღაც სიამოვნებას ვპოებდი; მაგრამ გული კი რაღაზედაც შეჩქროლვებული მქონდა, თითქო წინათვე რაღაც შემაწუხებელს გრძნობდა. ორხევის სტანციაში საჩქაროთ ცხენები გამომიცვალეს და მარდათ ათ საათზედ ვაზიანის სტანციაში ამოვყავით თავა. აქაც სმოტრიტელმა ბ. ძორქაშვილმა არაფერი დაბრკოლება არ მომცა-რა, რადგანაც არც ქალაქიდგან, არც სიღნაღიდგან მამავალი არავინ ყოფილაო და ტროიკები სრულიად შინ იმყოფებოდა.

ნაშუადღევის პირველ საათზედ მიველი აზამბურის სტანციაში, საითაც მხოლოთ იშვიათ შემთხვევაში მიხდება მოგზაურობა ხოლმე, რადგან წინათვე ვიცი, რო აქ უაყალ-მაყალოთ მგზავრს არ შეუძლიან გაიაროს. ჩამოვხდი ამ სტანციაში, ვიკითხეთ სტაროსტა,—არ არის; ვიკითხე მისა თანაშემწე—არ არის; ვიკითხე მგზავრების და ხაზინის ინტერესების დამცველი დამხედველი, სძინავს. ახლა აღარ ვიცოდი—ვისთვის მიმემართნა. დასაძინებელი ადგილიც არ იყო, რო მეც დამეძინა.

ვიქექ ნახევარ საათს და შევცქეროდი კუჩრებს, სამჭრაქა კრუებს. მომბეზრდა იმათი ცქერა და სმოტრიტლის მოსამსახურეს უთხარი გაეღვიძებინა სმოტრიტელი. მოსამსახურე შევიდა გასაღვიძებლათ; მეც იქვე კარებში ვიდექი და ყურს უგდებდი მოსამსახურე გააღვიძებდა თუ არა. მოსამსახურე დაჯდა და არ აღვიძებდა. ბაუმეორე, გააღვიძე-მეთქი. მაშინ წამოხტა, გორელი სამჭრაქა ზაქარა ალაპაპოვი ზედამხედველი სტანციისა, ცხენები არ არიან, წეეხირეთ როგორც გინდოდეთო!—როგორ თუ ცხენები არ არიან? მე დილის ხუთ საათზედ გამოველ, იქიდგან მომავალი ჩემს მეტი არავინ ყოფილა; მხოლოთ აქედგან მომავალი სამი ტროიკა ვნახე გზაში, მაშასადამე აქ უნდა იყოს კიდევ ოთხი ტროიკა, რადგან ფოჩტის შემნახავს შვიდი ტროიკა უნდა ჰყავდეს, კანტრახტის ძალით!

წამავლო გინებით ხელი, შემათრია თავის სახლში, რო ჩემთვის ეჩვენებინა დავთარი, სადაც ეწერა ოცდა ექვსიდგან ხუთი ტროიკა გასული მაგრამ ის კი აღარ ეწერა, რამდენ სათზე არიან ეს ტროიკები გასულნი. როდესაც უთხარ რო ეს ტროიკები იქნება ღამის პირველ საათზედ გავიდნენ, ისინი აქამდინ დბრუნებულები უნდა იყვნენ. მით უფრო ვფიქრობ აგრე, რო ეს კუჩრები სულ ეზოში არიან, მაშინ გაბ/რაზებულმა, რომელსაც არყის ოშხივარი ამოსდიოდა პირიდგან, წამავლო ხელი, რო კარში გამოვეგდე, დაუძახა თავის მოძმეთ სამჭრაქა კუჩრებს, რო ქიშტის კვრით კარში გამოვეგდე. შემოცვივდნენ, ბატონო, მტ[illegible] იყო მოკლას მიპირობდნენ, როგორც მაგათმა ჯიშმა ხშირათ იცის ჩუმათ უგემოთ კაცის კვლა და დაფლვა. შერი მეცვალა, ამ დროს, ღმერთმა უშველოს ნინო-წმინდელ გლეხს დათია როსტომაშვილს, და ჩემს მოსამსახურეს, ესენი შემომეშველნენ და განმათავისუფლეს ამ კაცის—მყლაპავებისაგან.

მოვთხოვე საჩივრის დავთარი, არ მომცეს. სმოტრიტელი ისევ ძილს მიეცა.

რა მექნა, ძალა იმათ ხელში იყო. ავდექ ავკიდე ბიჭს ხურჯინი და გამოუდექ საგარეჯოს მინდვრებს. ფეხით, თუმცა ამისი პრაგონის ფული ექვსი აბაზი ვაზიანის სტანციაშივე მქონდა გადახდილი, არ ვიცი ეს ფული ვილას მოვთხოვო.

არ ვიცი რითი აიხსნება ეს გარემოება. ბაზაფხულზედ მოვდიოდი სტანციაში ცხენები არ მომცეს და მალაკნებში ვიქირავე. ამას წინათ კიდევ ერთი აყალ-მაყალი მიეყენებინათ ვაჩნაძიანთ აფიცრებისათვის. ბაზაფხულსვე ბ. დირექტორის სტრელეცკისათვის საგარეჯომდის ეანგარიშნათ ორმოცი ვერსი და ფული ისე გამოერთმიათ, რომელზედაც საჩივარი დაეწერა, როდესაც ამ სიოტრიტლის მოადგილის დროს, მხოლოთ ოცი ვერსისას ანგარიშობდნენ, თუმცა თხუთმეტი ვერსის მეტი არ არის.

ნივრული სჯა შესახებ ეხლანდელ პოლიტიკისა, როგორიც მათგან“, მითხრა ერთმა მოგზაურთაგანმა ქალმა.

აჭარლებმა ზედ-მიწევნით არ იციან —წავლენ თუ დარჩებიან, როგორც ზევით მოგახსენეთ. ამის გამო არც დანგრეულ სახლებს უცვლიან წანახომ, არც ახალ შენობებს სდგამენ, თუმცა ბევრნი საჭიროებენ ამას. მნახველი მათის შემუშავებულის, თუმცა მცირედის, მამულისა, მინდორ-ველისა, მთა-ტყე-საძოვრებისა, სუფთა კარმიდამოისა—განცვიფრებით იტყვის:—ღმერთო! ნუ თუ ამისთანა მშვენიერობა კაცმა ნებით, გულ-გრილად, უნდა დასტოვოს?! რა საშინელი შესაწუხარებელი მიზეზია, რომლის გამოც ეს საცოდავები სტოვებენ მამაპაპის მამულს?! რა? რა?!

ამ შემთხვევაში მარტო ფანატიკობას ადგილი არა აქვს? ნუ თუ ეს ხალხი, ბუნებითი მარსი უნდა ხელიდან გაუშვათ? უკანასკნელი, დაჩეხილი, ჩათლახი აჭარელი სიმარდეში, თოფის მარჯვე ხმარებაში პირველ ჩვენ გაწვრთნილ სალდათს თუ არ აჯობებს, არც დაუვარდება. ღორჯომში ვიკითხეთ ვინაობა ერთი ტანში მ. შევებულის, გლახა შეხედულობის, ჩათლახის აჭარლისა. მვითხრეს, რო ნიბამია და ნება სთხოვეს, რო მას თოფი შეეთამაშებინა. რასაკვირველია, დართო ნება.

—აბა ჰე, ბიჭო! ბატონი ფარას გაჩუქებს და ეიღე თოფი და რავარც გასწავლეს ყომანდორებმა, ისე ათამაშე და ყომანდაც სთქვი.

აიღო რა თოფი ამ ჩათლახმა ხელში, სულ სხვა კაცად გარდაიქცა: ტანში გაიმართა, თვალებში რაღაც ელვარებამ გაჰკრა, გაცოცხლდა ერთის სიტყვით ეს მკვდარი კაცი. უნდა გენახათ რა მშვენივრათ, სუმბუქად ათამაშებდა თოფს,— რა სწრაფლ ხან მარჯვენივ, ხან მარჯვენივ სკუპს იზამდა. სწრაფლ დაეცემოდა დედა-მიწაზედ, გაენაბებოდა და ცოცვით მუცელზე გაცოცდებოდა და რა თოფს ესროდა უჩინარს მტერს, სწრაფლ წამოვარდებოდა და მოჰკურცხლავდა! მე თვით ჯარის კაცი ვარ და ჭეშმარიტად—ეს გლახა კი ჩვენ კარგ სალდათს არ დაუვარდება. უკანასკნელი მათში რომ ამისთანაა, პირველი რა უნდა იყოს?!...

ამას წინათ ვიღაც ტერტერა „მეღუში“ იწერებოდა, რომ აჭარლებს ქართველები სძულთო. ჯერ ერთი ის უნდა გაეგო: ქართველებს იგინი ვის ეძახიან? ქართველი და ქრისტიანი სინონიმი გახლავთ. საქართველო და ქრისტიანობა ამათთვის ერთი და იგივე გახლავსთ. თუ მართალი ნებავს, მე მოგახსენებ—აჭარლებს ვინ სძულთ. აჭარლებს სძულთ ერთობ სომხები და მეტადრე ახალციხის. სომეხი—ვაჭრები, რომლის წყალობით კინაღამ ფეხი ამოიკვეთეს ახალციხიდან.

ვერ წარმოიდგენთ რას უშვრებიან ახალციხელი ვაჭრები ახალციხელ, ფოცხველ, აჭარელ გლეხებს! შეევაჭრებიან, მოურიგდებიან ფასზე და როდისაც უბედური შვილი ადგილობრივ დასცლის საპალნეს, მოუდებენ შარს—ეს დამპალია, ეს მატლიანია, ეს მყრალიაო (ერთხელ ერთს აჭარელს ყურძენი დაუწუნეს იმიტომ რომ ის მატლიანი იყო! ყურძენი-მატლიანი!.. ბ. ბაზარნი სმოტრიტელიც იქ ბრძანდებოდა და ემოწმებოდა თავის ძმა—სომეხ ვაჭარს. ეს ფაკტია. ათასი ამისთანა სხვა.) და თუ გინდა მეათედ ფასს დამჯერდი, თუ არა და წაიღეო!.. მოგეხსენებათ, ზოგიერთი საქონელი, მეტადრე ხილი ალაგებ-ჩალაგებში ძლიერ ხდება. ამიტომ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ გლეხი იძულებული იქნებოდა დამორჩილებოდა სომეხ ვაჭარის ნებას. მოხდებოდა ხოლმე ისიც, რომ წინააღმდეგობას დაუწყებდა. მაშინ ეს ჩვენი ვაჭარი მივარდებოდა თავის მსხვერპლს, მას წაეშველებოდნენ ათი-ოცი სხვა მომხრე—აზრუმელი სომხები და მინამ მე და თქვენ მივეშველებოდით, სულს ამოართმევდნენ. ხშირად გარდა საპალნისა, უნაგირსა და ავშარასაც წაართმევდნენ ხოლმე.

ამას დიდი ყურადღება მიაქცია ცხლანდელმა ახალციხის მაზრის უფროსმა ბ. მესხიევმა და სასტიკად დაუწყო დევნა ამ გვარ მცარცველებს; ესე რომ ასე არ მოქცეულიყო,--აღარც ქობლიანები, აღარც ფოცხოველები, აღარც აჭარლები არ აპირებდნენ ამ ბატონ ვაჭრების შიშით—რამე ხორავის ჩამოტანას ახალციხეში. უნდა გენახათ რა სიმხურვალით უძღვნიდნენ ქობულიანები, აჭარლები ბ. მესხიევს მადლობას, რომ იგი აღარ აჩაგვრინებს მათ თავს ვაჭარ—სომხებს. მე ვგონებ, ხალხიდგან გამოთქმა მადლობისა მმართველისათვის დიდი ჯილდოა.

სხვათა შორის ეს გახლავსთ მიზეზი, რომ ბარიშნიკების პარტია ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ რითიმე ავნოს ბ. მესხიევს; რაები არ იბეჭდება მასზედ „მშაკში?!“ „მშაკში“ რომ ვერას გახდნენ-რა, მიმართეს „ბოლოსს“ და „ჰერალდს“ ნემეცურ გაზეთს.

ვერ წარმოიდგენთ—რანი არიან მომეტებული ნაწილი აქაური ვაჭრები: ცრუ ფიცი, ცილის წამება, ცრუ მოწმობა მათთვის ფურთხის ფასია. საშინელი ერთობა აქვსთ—არ გვგვანან ჩვენ! ერთს სომეხს ათი წამოეშველება, თვალით რომ არ ენახოს, ფიცით გასკდება, რომ ვნახეო.

მთელ ნაციაზე--სომხებზედ—სთქვას კაცმა ცუდი—სიბრიყვეა, მე მხოლოდ მოგახსენებ აქაურ ბარიშნიკ-ვაჭარ სომხებზედ. დროა ყურადღება მიექცეს ამ ბატონებს და დაუშლევინონ საწყალი გლეხის ჩაგვრა. მარტო სუდით ვერ გახდება რა: ვაჭარი ასს მოწამეს იშოვნის, გლეხი თითქმის ვერავის; ვის მიმართავს გლეხი?! მთელი უპრავა, დუმა, მესჩანსკი უპრავა მომეტებული ნაწილი სომხობაა,—დამნაშავე ან ერთის წევრის, ან მეორის ნათესავი გამოდგება უთუოდ.

ერთი მგზავრთაგანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სტანციაში დიდი უწესოებაა. რასაც უნდათ, იმას სჩადიან. ამ გვარი იყვნენ, ვაგზალზე გაზაფხულზე კინაღამ სამი დიდმელი კაცი კეტებით შეუბრალებლივ ორმოცმა მაუშამ რო დახოცა. სანამდინ უნდა იყოს ამისთანა წესები ძახეთის სტანციებზე? სანამდინ იბატონებს იქითკენ კიდევ მირზოევი და იმისი მსგავსი ყარაბაღელი მეიჯარადრე. რატომ არ ხდებოდა ეს ამბები წინანდელ მეიჯარადრის ხელში, როდესაც აქ იყო რუსი სმოტრიტლათ? რატომ არ ხდება ისეთი უწესოება მაზიანის სტანციაში, სადაც ძორქაშვილია სმოტრიტლათ.

ა. კაკთელი.

# განცხადებანი

—

**წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება** სთხოვს ბ.ბ. საზოგადოების წევრთა დაესწრონ თბილისის სახალხო სკოლის გახსნას სამშაბათს, 14 ოქტომბერს, დილის 11 საათზე.

შკოლა იმართება საპერნის ქუჩაზე, 41 №-ში, ბაბანასოვის სახლებში.

საზოგადოების მმართველობა სთხოვს იმ მშობელთა, რომელთაც განაცხადეს სურვილი შვილების შემოყვანისა ამ სკოლაში, მობრძანდნენ თავიანთი შვილებით ამ სკოლაში, ზემოთ დანიშნულ დროს. 3—3

## პატენტიანი შჩოტკები

**თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გედრება 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—68)

# ქილებ

## ეკკლესიის კანკელს

ყველა მოწყობილებით და სახლის მოწყობილების ჩუქურთმას მოსაჭრელად.

ჩემი ქარხანა იმყოფება საპიორნის ქუჩაზედ, ბირძენოვის სახლში, № 18

კანკელისა და მებელის ჩუქურთმის მჭრელი

**დავით ივანეს-ძე გიგაური.**

(10—3)

## სავაჭრო სახლი

# იაგორ კასუმოვი და ამხ.

უმორჩილესად სთხოვს პირველ და მეორე ხარისხის პაისჩიკებს მობრძანდნენ მთავარ კანტორაში ამხანაგობის ნამდვილ პაების მისაღებად იმ მოწმობის მაგივრად, რომელიც იმათ დროებით ჰქონდათ მოცემული.

კანტორა იმყოფება ერევნის მოედანზე, ჯაყელის სახლებში და ვაღებულია ყოველ დღე დილის 9 საათიდამ ნაშვადღევის 2 საათამდინ, უქმე დღეებში კი დილის 9 საათიდამ 11-მდინ. (5—3)

სოლოლაკზე, სადოვის ქუჩაზე, მელიქოვის სახლში, № 43 არის

## გასაქირავებელი

# სადგომი

**ხუთი ოთახი**, თავის სამზარეულოთი, სარდაფით და სხვა მოწყობილობით. ქირავდება წელიწადში **ოთხას-ოთმოცდა-ათ** (450) მანეთად. დაწვრილებით პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან იქვე, სახლის პატრონთან.

5—4

## მედიცინის ექიმი

# იაკუბოვიჩი

იღებს ვენერიულ ავათმყოფებს სამშაბათობით დილის 11 საათიდამ 12 საათამდინ.

**ადრესსი დოქტორისა:** გალავინის პროსპექტი, თ. ივ. მუხრანსკი სახლი.

(6—4)

# ახალი გამოფენა

ოთხი თვის მოქმედების ნაყოფი

## „ფილიპოვიჩის და ამხ." ფოტოგრაფიისა

(საგანგებოდ აშენებულს სახლში)

გოლოვინის პროსპექტი, თ. ი. ზუბალოვის სახლი თფილისის კრების გვერდით, ყოველ-დღე დილის 9 საათიდამ საღამოს 8-მდე.

10—10

**ინგლისის მაღაზიაში მიღებულია შეკოლადი და კაკაო ფრაი.**

(20—8)

**На Сіонской улицѣ, рядомъ съ Ремесленной школы, въ церковномъ домѣ, доставлена гробница св. Нины. Желающіе могутъ видѣть отъ 10—3 ч. пополудни—до понедѣльника.**

(3—2)

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში (ალექსანდროვის ბაღთან რუსის საყდრის გვერდით)

## იყიდება მარი ივანეს-ძის

# ბროსსეს

სურათები, თითო 30 კ. ამ სურათებისაგან შემოსული ფულით გამოიცემა თვით ბროსსეს ზოგიერთი სტატიები, რომელიც ფრანცუზულის ენიდამ ქართულად ნათარგმნია.

გარეშემცხოვრებელთათვის ადრესი:

**Въ Тифлисъ въ книжный магазинъ Зах. Чичинадзе.**

# თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან

**თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ქვემო მოხსენებულ პირთა ბანკში დაგირავებული უძრავი მამულები, თავის დროზე თავნისა და სარგებლის შემოუტანლობის გამო, ბანკის წესდების § 15-ის თანახმად, დანიშნული არიან გასასყიდლად. ხსენებული მამულები არ გაისყიდება მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ პატრონები გადასახდელ ფულს შემოიტანენ.

| მამულის მეპატრონეთა სახელი და გვარი. | რა გვარი მამულია | სად არის მამული. |
|---|---|---|
| **ანდრონიკოვი**, რევაზ ივანეს ძე. | სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მეზონინით და სარდაფით, თან ადგილი 612 ოთხ-კუთ. საჟ. | 1 განყოფ. 2 კვარტალში ქ. თფილისში, საპიორის ქუჩაზე. |
| **კაპანაძე**, ანდრია ივანეს ძე. | ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველის კუთვნილებით, ადგილი 60 ოთხ-კუთხი საჟ. | 3 უჩასტკაში, 1 განყოფილებაში, № 271. |
| **გაბაშვილი**, ალექსანდრე ზაქარიას ძე. | სახნავ-სათესი, სამოსახლო და აათიბი მიწები, ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი თავის ეზოთი, ბაღჩით, სულ 177 დესიატინა და 7 ოთხ-კუთხი საჟ. | თფილისის გუბ. სოფ. თხინვალს. |
| **ფალელოვი**, მიხეილ ნიკოლოზის ძე. | ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ადგილი $14\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. | 4 უჩასტ. 1 განყოფ. თფილისში, ვანქის ქუჩაზე. |
| **სოფრონოვი**, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე | ერთ-სართულიანი სახლი, ადგილი 146 ოთხ-კუთ. საჟ. | 16 უჩასტ. 2 გან. თფილისში, ნავთლუღში. |
| **ფაგლენოვისა**, მარიამ ანდრიას-ასული. | ერთ-სართ. ქვითკ. სახლი, ადგილი 28 ოთხ-კუთ. საჟ. | 12 უჩასტ. 2 განყოფ. თფილისში ჩუღურ. |
| **ხანდამოვი**, მირონ ფრიდონის ძე. | ორ-სართ. ქვითკირის სახლი, ადგილი $54\frac{1}{2}$ ოთხ-კუთ. საჟ. | 2 უჩასტკაში 1 განყოფ. თფილისში. |
| **სლინკო**. ანნა ივანეს ასული. | ორი ორ-სართ. ქვითკ. სახლი, ადგილი 111 ოთხ-კუთ. საჟ. | 11 უჩასტ. 2 განყ. თფ. ელისავეტის ქუჩ. |
| **ერისთავი**, ალექსანდრე პავლეს ძე. | წისქვილი და იმასთან სადგომი, ადგილი 5,610 ოთხ-კუთ. საჟ. | ძ. გორში. |
| **ომელოვისა**, ნინო ივანეს ასული. | ორი ნაჭერი მიწა 200 ოთხ-კუთხი საჟ. შენობანი: პირველ აჭერზე—ორ-სართ. ქვითკ. სახლი, ფლიგელით; მეორე ნაჭერ მიწაზე: ორი ერთ-სართ. ქვითკ. სახლი. | 1 უჩასტ, 1 განყოფ. ოლგის ქუჩაზე თფილისში. |
| **ზოგიევი**, დავით პაპის ძე. | ერთ-სართ. სახლი დუქნით, ადგილი $27\frac{1}{5}$ ოთხ-კუთ. საჟ. | 1 უჩასტ. 1 განყოფ. თფ. დვიდოვის ქუჩ. |
| **ჭიჭინაძე**, იგნატი ნიკოლოზის ძე. | რამდენიმე ერთ-სართ. სახლი, ადგილი 115 ოთხ-კუთ. საჟ. | 1 უჩასტ. 1 განყოფ. თფ. მთა-წმინდაზე. |
| **ფაგლიევი**, იაკობ სიმონის ძე | ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი ადგილი 72 ოთხ-კუთხ. ს. | 5 უჩასტ. 1 განყოფ. თფ. ნემეცის ქუჩაზე. |
| **სლინკო**, ეკატერინე ივანეს ასული. | სამ-სართულიანი ქვითკ. სახლი ფლიგელით, ადგ. $313\frac{3}{4}$ ოთხ-კუთხ. საჟ. | 1 განყოფ. 1 მიხაილოვის უჩასტკ. თფ. |
| **ფუღინოვი**, ისაკ ნიკიტის ძე | ორი ორ-სართ. სახლი ორი სამ-სართ. ფლიგელით, ადგილი 156 ოთხ-კუთ. საჟ. | 6 უჩასტ. 1 განყოფ. ქ. თფილისში, ნორაშნისა და აზნაურთ ქუჩის კუთხეში. |
| **მეხთიევი**, სადიყ-ასკარ-ოღლი. | ორ-სართ. სახლი ერთ-სართ. ფლიგელით, ადგ. 547 საჟ. | 9 უჩასტ. 1 განყოფ. ქ. თფილისში. |
| **სჩერბაკოვისა**, ელისაბედ მაქსიმისა და ავდოთია აგაფონის ასულნი. | ორ-სართ. ქვითკ. სახლი სარდაფით, ადგ. 144 საჟ. ნახევარი. | 10 უჩასტ. 1 განყოფ. თფილისში. |
| **ჯავჯავაძენი**, ნიკოლოზ და მიხეილ ზურაბის ძენი. | სახნავ-სათესი, საბალახე და სათიბი ადგილები და ტყე 669 დესიტინა და 180 ოთხ-კუთხ. ს. | თფ. გუბ. თიანეთის მაზრაში, საჭავჭავაძოში და ილოთს. |
| **ხიმშიევები**, ნიკოლოზ, ნინო, მარიამ გიორგის შვილები და ქვრივი ეკატირინე ბექანის ასული. | სახნავ-სათესი და საბალახე ადგ. 653 დესიატ. 1820 საჟ. | თფ. გუბ. თიონეთის მაზ. სოფ. ატკას-ხევში. |
| **ალექსეევ--მესხიევი** მიხეილ დიმიტრის ძე. | სამი ნაჭერი მიწა, ზომით 178 დესიატ. 840 საჟ. | თფ. გუბ. და მაზრის სოფ. ახალ-დაბაში. |
| **ერისთავი**, გიორგი გიორგის ძე. | სახნავ-სათესი და საბალახე ადგ. 243 დესიატ. 1263 საჟ. | თფ. გუბ. თელავის მაზრ. სოფ. ქისტაურს. |

(დასასრული ხვალ)

Дозволено цензурою. Тифлисъ 10 Октября 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი